889/4-1/21 2 05022021

889/4-1/21
05-02-2021

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოში ადამიანის ტყვიის მიმართ ექსპოზიციის შესწავლა და კორელაციის დადგენა ინდივიდებში ტყვიის შემცველობასა და იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც უკავშირდება ტყვიით გარემოს, კერძოდ, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის შესაძლო დაბინძურებას. მოკვლევის ფარგლებში სახელმწიფო უწყების მიმართ შემუშავდა რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი